კლიმატის ცვლილება და მოწყვლადი ლანდშაფტები (ქვემო ქართლის მაგალითზე)

ლუკა შუბლაძე

luka.shubladze087@ens.tsu.edu.ge

გეომორფოლოგია,კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზ. N1, თბილისი, 0176, საქართველო

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება კლიმატის ცვლილებასა და მოწყვლად ლანდშაფტებს. აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. ეს პროცესი დედამიწაზე გეოლოგიური წარსულიდან იწყება და დღემდე მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული თემის მნიშვნელობაზე მეტყველებს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, პუბლიკაცია, საერთაშორისო კონფერენციები და სხვა. კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის სემიჰუმიდურ , სემიარიდულ და არიდულ ლანდშაფტებს, რომლის გამოყენებაც აქტიურად ხდება სხვადასხვა დანიშნულებით მოსახლეობის მხრიდან.

ქვემო ქართლი განეკუთვნება ისეთ რეგიონს, რომლის დიდ ნაწილზეც წარმოდგენილია სემიჰუმიდური და სემიარიდული ლანდშაფტები. აღნიშნული ტიპის ლანდშაფტები კლიმატის ცვლილების მიმართ ნაკლებად მდგრადები არიან. გლობალური დათბობის პირობებში ამ ტერიტორიებზე შესაძლებელია დაიწყოს გაუდაბნოების პროცესი, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე. საინტერესოა სამომავლო სცენარების შედგენა ამ რეგიონში არსებული მოწყვლადი ლანდშაფტებისათვის, რომლესაც საბოლოო ჯამში მიგრაციული პროცესების გამოწვევაც შეუძლია.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ისეთ აქტუალურ და საინტერესო თემებს, როგორიცაა: 1.კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში, 2.მოსახლეობის ლანდშაფტური გადანაწილება საკვლევ რეგიონში(ქვემო ქართლში), 3.კლიმატის ცვლილების სცენარები, 4.მოსახლეობის დამოკიდებულებისა და პრობლემატიკის განსაზღვრა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, სოციალური გამოკითხვა და ანალიზი.